# ლოკალური ბაზის ასლის აღდგენა

ორის ბუღალტერიაში ლოკალური მონაცემთა ბაზის ასლის აღსადგენად, სისტემა გაუშვით ადმინისტრატორის უფლებით (იხ. დოკუმენტაცია სისტემის ადმინისტრატორის უფლებით გაშვება ). შედით **ფაილი/ასლის აღება- აღდგენა/ ასლის აღდგენა:**




იხილავთ ეკრანს:




ველში „ასლის ფაილების მარშრუტი“ მიუთითეთ ფაილის მარშრუტი დააწკაპეთ მაუსი  ღილაკზე . იხილავთ ეკრანს :




აირჩიეთ საქაღალდე სადაც გაქვთ შენახული ასლის ფაილები. (მაგ:ORIS Backup)
ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება იმ ასლის ფაილების ჩამონათვალი რაც საქაღალდეშია.




მონიშნეთ მოსანიშნით ის ფაილები, რომლის ასლის აღდგენაც გსურთ და დააჭირეთ ღილაკს „ასლის აღდგენა“. იხილავთ ეკრანს:



ველში „ბაზის სახელი არქივში “ მითითებულია ბაზის დასახელება რაც ასლის ფაილში აქვს ბაზას.

ველში „აღსადგენი  ბაზის სახელი “ ავტომატურად წერს სისტემა ზედა ველში მითითებულ სახელს . შეგიძლიათ ველში „აღსადგენი ბაზის სახელი“  ბაზის დასახელება შეცვალოთ.დააჭირეთ ღილაკს „ასლის აღდგენა“ . თუ ბაზის დასახელებას შეცვლით გამოვა შეტყობინება:




დააჭირეთ ღილაკს „Yes“.